# სამშობლო

ოთხშაბათი 22 ივლისი 1915 წ.

წ. I

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 1 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერისას [illegible] ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადებანი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათ შემდეგ 4 მან.

№ 135 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 135

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“

ტელეფონი № 76.


ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით


გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ელექტრო „რადიუმი“ თეატრი
საზაფხულო შენობაში.
ორშაბათიდან, 20 ივლისიდან, ნაჩვენები იქნება სურათი:

I.
ცოდვის აჩრდილი.
სამ ნაწილათ. სამეფო თეატრის არტისტის ვ. ა. კორალლისა და ვ. ა. პოლონსკის მონაწ.

II
ბელგია
Ш.
ჰაერში მოგზაურობა.
მხიარული სურათი.

ბრიუსელის უნივერსიტეტის სწავლა დამთავრებული ქართველი ქალი
ასწავლის და ამზადებს ორივე სქესის მოწაფეებს ფრანგულ ენას.
პირობების შეტყობა შეიძლება „სამშობლოს“ რედაქციაში დილის 9 ს. 12 საათამდე. თ.

საშუალო სასწავლებლის უნცროს კლასებისათვის, უმაღლეს დასაწყისს 4 კლასიან სასწავლებლის ყველა კლასისათვის ვამზადებ მოწაფეებს, ეგზამენის დაჭერა უზრუნველყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, პარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი. თ.

ექიმი გ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვების და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

დოქტორი მედიცინისა, პრივატ დოცენტი
ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი 8 მაისიდგან მიიღებს ავათმყოფებს დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის და ნაშუადღევის 5 საათიდგან საღამოს 8 საათამდის.
გოშპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი, ხაზინის პირდაპირ № 6. თ.

ექიმი ი. ჩარექიშვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ექიმი რელიგიონი დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფების (ქირურგიულ და ქალურ ავათმყოფთა) მიღება თავის ძველ ბინაზე.
ავათმყოფების მიღება—დილის 12 საათიდან 2 სათამდი. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

კერძო ექიმი მიხეილ კაშია
კურნავს ყოველგვარ თვალის ტკივილის ავათმყოფობას. ღებულობს დილის 7 საათ. მისამართი: მესამე ალექსანდრეს ქუჩა.; პეტრე-პავლეს ეკლ., სახლი დავ. გაშიასი თვ.


## სახელმწიფო სათათბირო.

**მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე:** ბატონო სათათბიროს წევრნო! ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ებრძანა ჩემთვის მოგმართოთ თქვენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის სახელით რომ მოგილოცოთ და გისურვოთ მომავალ საპასუხისმგებლო და საკანონმდებლო მუშაობაში გამარჯვება დიდებულ რუსეთის საკეთალდღეოთ“. (ამ სიტყვების შემდეგ სახელმწიფო სათათბიროს წევრნი დგებიან თავიანთ-თავად ადგილებიდან. ეროვნულ ჰიმნის გუგუნი გაისმის ზალაში.)

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარის წინადადებით ერთხმად დაადგინეს: გაეგზავნოს ხელმწიფე იმპერატორს უქვეშევრდომილესი დეპეშა. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე განაგრძობს: „ჩვენ მუშაობის განახლების დღე ჰხდება ზედ ომის გამოცხადების წლის თავზე, ომისაგან მოყენებულ ტანჯვა-ვაებამ გაიძულეს თქვენ თავი დაგენებებინათ სამსახურისათვის, ზოგს წითელ ჯვრის ადგილობრივ მოქმედებისთვის და ზოგს კიდევ საკუთარ საქმისთვის. შევხედოთ სიმართლეს პირდაპირ და გამოვტყდეთ, რომ ომი ხანგრძლივი იქნება და მოითხოვს სულ ახალ-ახალ ცდას და მსხვერპლს. გადაწყვიტა რა მთავრობამ შეუპოვრად მოქმედება, თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის საბოლოვო გზას დაადგეს საკანონმდებლო დაწესებულებათა თანხმობით (ხანგრძლივი ტაში). ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია თქვენი მოწვევა, რომ გაგაცნოთ საქმის ნამდვილი მდგომარეობა და თქვენთან ერთად გამოვიმუშავოთ ყოველ-გვარი საშვალება მტრის დასამარცხებლათ. სამამულიშვილო ომის შემდეგ რუსეთს მსგავსი დღეები არ უნახავს. საშინელი მკაცრი და მასთან გამანადგურებელია ეს ომი, რომლის მსგავსი ჯერ მსოფლიოს არ ახსოვს. ეს ისტორიული სიტყვები იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტისა თითქოს ჩვენ დროს ეკუთვნის. მაშინ მე—12 წელს რუსეთმა დიდი განცდის და ტანჯვის შემდეგ ახალი ასპარეზი და დიდება მოიპოვა. ბრძოლის მსვლელობა და მისი ბოლო ჯერ კიდევ დაფარულია ჩვენთვის, როგორც მთელი მსოფლიოსათვის. ამის მიუხედავათ ჩვენ, როგორც ერთგულნი ჩვენი სამშობლოს ძლიერი წარსულისა გვჯერა და გვრწამს ბრწყინვალე მომავლი: დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ხომ წუთია ჩვენს ისტორიაში, რაიც გვავალებს ზე აღტაცებულ სულის სიმტკიცეს! ომმა ჩვენ დაგვანახვა, რომ ჩვენ გაცილებით ნაკლებად ვიყავით მომზადებულნი, ვიდრე ჩვენი მტრები. ჩვენთან ვერაგულ დამეგობრების დროს მან მთელი დრო მზადებას მოანდომა და ხელსაყრელად იხელთა დრო თუ არა, უმალ თავს დაგვატყდა მთელი თვისი ძალლონით და უაღრესად გაუმჯობესებული ტეხნიკით. და არა თუ ჩვენ, თვით ჩვენი მოკავშირენიც კი, ვინც ასე რიგად განათლებულნი არიან და ჩვენზე წინ წასულნი სამრეწველო და ტეხნიკის სფეროში, მოულოდნელობის გამოისად აზნევით შეჰხვდენ ამ მძვინვარე გამოლაშქრებას. რაც დღემდის გავაკეთეთ არა კმარა. საჭიროა ახლი ძალის მოკრება. მეფის სიტყვით დღეს ყველას აქ მოუწოდეს. კანონპროექტების შედგენა, მშვიდობიან ცხოვრების გაუმჯობესებანი, მხოლოდ შემდეგი საკითხია. თუ დღემდის არ მიგვიმართნია ასეთს საშვალებისთვის, ეს ერთხელ კიდევ იმასა ამტკიცებს, თუ რამდენი ძალა გვქონია ჩვენ. მეორე კანონპროექტი, რაიც ომმა გამოიწვია, ჩვენ გვამაგრებს ხანგრძლითბისათვის და ბევრს რამეს გვეუბნება სახელმწიფო ბანკის საემანსიპაციოდ. მესამე კანონპროექტი კი მიზნად ისახავს ერთს დაწესებულებად გარდააქციოს საკანონმდებლო კრებები, საზოგადო დაწესებულებანი, სამრეწველო დაწესებულებანი, რათა თანხმობით ვიმუშაოთ არმიისა და ჩვენი ქვეყნის განსამტკიცებლად. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, თუ რა ნაყოფი მოაქვს საზოგადო ძალთა მოწოდებას თავდაცვის საქმეში. აი, ეს გარემოება აიძულებს მთავრობას უფრო ფართედ და მტკიცედ შედუღდნენ სამშობლოს ძალები, რათა უზრუნველჰყონ სამხედრო მასალები და ჩვენს ლაშქარს მით გაუმაგრონ ზურგი. ამ დღეს, ბატონებო, სხვა ნაყოფიერი დანიშნულება ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ უნდა ღირსნი გავხდეთ ჩვენი ძლევამოსილი ლაშქრისა. (ხმები „ვაშა, ვაშა“)...

დღეს-დღეობით საპროგრამო სიტყვებისთვის დრო არ არის. რუსეთის მშვიდობიან ცხოვრების მოწესრიგებას სხვა დროსაც მოვასწრობთ. მხოლოდ ერთს საკითხს შევეხები, რაიც ჩვენს შინაურ საქმეთა და ომის საზღვარზეა წამოყენებული. ეს გახლავთ პოლონეთის საკითხი. რა თქმა უნდა, მისი გადაჭრა საბოლოოდ მხოლოდ ომის შემდეგ შეიძლება. დღეს კი პოლონეთი მთელის გერმანელთა მძიმე უღლიდან განთავისუფლებას. დღესაც პოლონელთათვის საგულისხმიეროა იცოდეს და სწამდეს, რომ მისი მომავალი მართვა გამგეობა დამოკიდებულია უმაღლეს მთავარ სარდლის სურვილისა და ნებისაგან (ხმები „ვაშა“, „ვაშა“). მამაცი რაინდი, კეთილ-შობილი, ძმა და ერთგული პოლონელი ხალხი, ვინც ამ ომის გამო ამდენი უბედურობა განიცადა, ჩვენ გულში იწვევს მაღლამი უსაზღვრო და გულწრფელ თანაგრძნობას (ტაში). დღეს ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად მიბრძანა გამოგიცხადოთ ბატონო სახელმწიფო სათათბიროს წევრნო, რომ მათმა უდიდებულესობამ უბრძანა მინისტრთა საბჭოს შეიმუშავოს კანონპროექტი პოლონეთის მოსაწესრიგებლად ომის გათავების უმალ. მას მიეცემა ავტონომიური გამგეობა თვითმპყრობელ ხელმწიფის სკიპტრის ქვეშ (ხანგრძლივი ტაში, ხმები: „ვაშა“). მაშ შევერთდეთ ყველანი ერთი შრომისთვის, როგორც ამას მოგვიწოდებს ჩვენი თვითმპყრობელი, ვიფიქროთ მხოლოდ ერთს რამეზე: მტრის განდევნაზე ჩვენი სამზღვრებიდან და მის შერცხვენაზე ჩვენი ხელმწიფისა და სამშობლოს სადიდებლად! (ხმები „ვაშა“ ტაში). ომის დასაწყისი აქ აღინიშნა აუწერელი ერთსულოვნობით და აღფრთოვანებით. დღევანდელ დღეს, მთავრობის აზრით, უფრო მჭიდროდ და ერთსულოვნად უნდა შევეგებოთ საერთო მორალს.

თავმჯდომარე: სიტყვა ეკუთვნის სამხედრო სამინისტროს გამგეს.

სამხედრო მინისტრის ტრიბუნაზე ასვლის დროს სახ. სათათბიროს ყველა ადგილიდან ტაშის ცემაა. სახ. სათათბიროს წევრნი მხურვალეთ ეგებებიან მინისტრს.

სამხედრო მინისტრის გენ. პოლივანოვის სიტყვა.

ბ.ბ. სახელმწიფო სათათბიროს წევრნო! ასი წლის წინათ რუსეთის სახელმწიფომ დიდის მსხვერპლითა და რუსეთის სისხლით შექმნა გერმანიის სახელმწიფოთა არსებობა. ისინი მაშინ რუსეთმა გაანთავისუფლა ნაპოლეონის ძლიერი ძალისაგან, დღეს კი ჩვენ ფეხსა ვსდგამთ ომის მეორე წელიწადში იმ სახელმწიფოს წინაამდეგ, რომელიც ჩვენ თავს დაგვეცა. მტერმა ჩვენ წინაამდეგ თავი მოუყარა აურაცხელ ძალებს და ხელთ იგდო გეოგრაფიულათ წინ წაწეული ვარშავის სამხედრო ოლქის ტერიტორია. ჩვენი დასავლეთი საზღვრის ცენტრალური ნაწილი შეჭრილია გერმანია—ავსტრო-უნგრეთის საზღვრებში და მათგან არ განიყოფება რაიმე დამაბრკოლებელი ბუნებრივი საზღვრით. ჩვენი სტრატეგიული მდგომარეობისთვის ასეთი მდგომარეობა მუდამ სუსტ მიზეზს წარმოადგენს ჩვენი მტრების მდგომარეობასთან შედარებით. შეიძლება, ჩვენ იძულებული გავხდეთ შევამოკლოთ ჩვენი რკალის მსგავსი ფრონტი ვარშავის ოლქში და მტერს დაუთმოთ რომელიმე ადგილი და შემდეგ გადავიდეთ წინასწარ დამზადებულ პოზიციაზე, სადაც ჩვენი ჯარი ძალას მოიკრებს ახალი შეტევისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი სულიერი მდგომარეობა ჩვენი გამარჯვების ხარისხს ექვემდებარება: ჩვენ გვიხარია, როცა ვიმარჯვებთ და ვსწუხვართ დამარცხების დროს.

ბ.ბ! ჩვენი სულიერი მდგომარეობა არ უნდა იცვლებოდეს, რადგან ჩვენ ომი უნდა განვაგრძოთ სრულ გამარჯვებამდის (ხმები: მართალია. ტაში) ბოლო აგვირგვინებს საქმეს და ამას მოწმობს 1812 წელი, ახლა შეიძლება ჩვენ დავცალოთ ვისლა, მაშინ ჩვენ მოსკოვიც კი მივატოვეთ და ამის შემდეგ მტერი დამარცხდა და იძულებული გახდა რუსეთი მიეტოვებინა. ჩვენი აზრიც ერთნაირათ შეურყეველი უნდა იყოს. ღრმა სიყვარულის გრძნობა მეორეს მხრით—ეს არის და პატივისცემა ჩვენი მამაცი ჯარისადმი ჩვენი მოკავშირეების მხრით (ტაშის ცემა, ხმები: ვაშა!) თითქმის სამ თვეს გასტანა გალიციაში განუწყვეტელმა ბრძოლამ, ვისლის ორივე ნაპირზე. გერმანიამ ჩვენს წინაამდეგ აამოქმედა აურაცხელი არტილერია ისეთი ყალბისა, რომელიც ჯერ არ ნახულა. მტრის სურსათი ჯერაც დაუშრეტელია, ის რამდენიმე საათში ისვრის მრავალ ათასს ყუმბარას ერთი რომელიმე ადგილისკენ დიდია აგრეთვე ტყვიის მფრქვეველთა. თოფების და პატრონების რიცხვი. ასეთ პირობებში ადვილი წარმოსადგენია მტრის სიძლიერე და მხოლოთ ჩვენი ჯარის განსაკუთრებული სიგმირით შევიძლია ავხსნათ, რომ დღემდის მისი წინააღმდეგობა შევსძელით ამ განუწყვეტელ ბრძოლაში. მე უნებლიეთ შევჩერდი ომის ამ არაჩვეულებრივ ისტორიაზე, რადგან ის დროით არის ჩვენთან მახლობელი, მაგრამ ბ.ბ., რამდენი დავფარეთ ჩვენ ამ თორმეტი თვის განმავლობაში ბრწყინვალე ომის შესახებ, რამდენი კერძო გმირობა გამოიჩინა ჩვენმა ჯარმა. ბ.ბ. ჩვენი ბრწყინვალე შესვლა ლვოვში 4 აგვისტოდან 21 აგვისტომდი. მოიგონეთ გალიციის დიდი ბრძოლა 18—30 აგვისტომდი და ბრძოლა რავასთან, იოროსლავის აღება და პერემიშლის დაცემა. ამ ბრძოლებში ჩვენ წამოვიღეთ რამდენიმე ასეული ზარბაზანი და წამოვიყვანეთ ასი ათასობით ტყვეები. ამ რაიონში მომქმედმა მხოლოთ ერთმა არმიამ ტყვეთ წამოიყვანა 1900 აფიცერი და 186000 ჯარის კაცი. სექტემბერში გერმანიის ძალები ნემანზე და ვისლაზე იძულებული გახდენ უკან დაეხიათ, თებერვალში პრასნიშთან ბრწყინვალეთ გავიმარჯვეთ. გაიხსენეთ ბრწყინვალე ბრძოლები სარაყამიშთან, სადაც ოსმალოთა ჯარი დამარცხდა. არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ ჩვენი მოკავშირეთა სიგმირეც თავიანთ სამშობლოს დაცვის საქმისთვის: ბელგიის, საფრანგეთის და ინგლისის ჯარმა მტერი აიძულა უკან დაეხია. ბრძოლებმა იპრთან, შამპანში, არასსთან დაამტკიცეს ჩვენი მოკავშირეთა სიმამაცე.

იაპონიის ჯარმა დაიპყრო გერმანიის ციხე ცინდაო. სერბიისა და ჩერნოგორიის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვება, იტალიის ჯარის ფრთხილი, მაგრამ გამუდმებული წინსვლა აი ის გამარჯვებათა დაფნები, რომლითაც დაფარულია ჩვენი მოკავშირეთა დროშები (ხმები: ვაშა, ტაშის ცემა). როგორც ჩვენ ისე ჩვენი მოკავშირენი ვცნობთ) რომ ომი უნდა განვაგრძოთ, მაგრამ ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ომი ხანგრძლივი იქნება. ჯარი თავის მოვალეობას შეასრულებს, მაგრამ ის უნდა გრძნობდეს, რომ მას ზურგს უმაგრებ ძლიერი რეზერვი.

ქვეყანამ უნდა შეავსოს ჯარი და სამხედრო სამინისტრო თხოულობს ჯარისკაცთა გაწვევას 7 აგვისტოსთვის, ამისათვის მას შემოაქ სახ. სათათბიროში კანონ-პროექტი. ამასთანავე თხოულობს მეორე ხარისხის ჯარისკაცთა ზოგიერთ ნაწილების გაწვევას, რომელთა რიცხვი 8 მილ. უდრის, მაგრამ ამ რიცხვიდან ჩვენ მცირე ნაწილის გაწვევა გვსურს. ჯარის შენახვა უზრუნველყოფილია. დიდძალი სურსათი რკინისგზით მისდის ჯარს და არც ერთი ომის დროს არ ყოფილა სურსათის საკითხი ასე კარგათ მოწყობილი, როგორც დღეს (ხმები: ვაშა ტაშის ცემა) დაკვირვება გვიჩვენებს, რომ რუსეთის სამეურნეო ძალას ომის დროს არ დაუკლია. ჩვენი ქვეყანა კარგი მოსავლის გამო სავსეა სურსათით და მზათ არის განაგრძოს ომი. (ხმები: მართალია, ტაშის ცემა) ყველაზე უფრო საძნელოა ომისთვის საჭირო სამხედრო სურსათის

გამონახვა, განსაკუთრებით კი არტილერიის სურსათის.

ამ მხრით გერმანია უპირატეს მდგომარეობაშისა. და არა თუ ჩვენ, ჩვენი მოკავშირეების ჯარსაც კი სჯობნის. ეს მან შესძლო ორის გზით: მან დაამზადა დიდძალი სურსათი ომამდი და დარაზმა თავისი წარმოება ომის გამოცხადებისთანვე. მათი უპირატესობა საგრძნობია არტილერიის, ყუმბარების, თოფების, ტყვიისმფრქვეველების დამზადებაში. მტერი ანგრევს სანგრებს მძიმე იარაღით და ამაგრებს თავის სანგრებს ტყვიის მტყორცნელებით. ჩვენ უნდა განვავითაროთ ისეთი წარმოება, რომელიც ამზადებს განსაკუთრებით საარტილერიო სურათს. საფრანგეთმა ამ მხრით ბევრი რამ გააკეთა და ინგლისმაც უკვე გადადგას ნაბიჯი. ორივე ამ სახელმწიფოს მდგომარეობა ამ მხრით ჩვენსაზე უკეთესია. შემდეგში თქვენ შემთხვევა გექნებათ, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ ამ მხრით. ბ. ბ. თქვენ ხედავთ, თუ როგორ მტერთან გვაქ საქმე, ომი ისე არ გათავდება, თუ მას არ ვსძლიეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდის მსხვერპლის შემდეგ ევროპა დაიდგავს ტევტონების ძალის მძიმე უღელს. დროს დაუკარგავათ შევირაზმოთ სამშობლოს დაცვისათვის. აი, ბ. ბ! მოკლე, მაგრამ დიდი პროგრამა ჩვენი მოქმედებისა. (ხმები. მშვენიერია, ტაშის ცემა) ამ პროგრამისთვის დავსდოთ ჩვენი გული და ავაფრთოვანოთ იგი. დღე მუდამ გვახსოვდეს ჩვენი მეფის სიტყვები. ხელმწიფე იმპერატორი რუსეთის ყველა შვილებისაგან, განურჩევლათ მათი შეხედულებისა და მდგომარეობისა, მოითხოვსსაერთო მუშაობას ჩვენი ჯარის საჭიროებისათვის. (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

თავმჯდომარე: ბ. ბ! წინადადებას ვიძლევი პატივი ვსცეთ ადგომით ჩვენს ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირებს და „საუკუნო ხსენებით“ მოვიგონოთ იგინი.

ყველანი სდგებიან.

საზღვაო მინისტრის სიტყვა.

საზღვაო მინისტრი გრიგოროვიჩი: სახ. სათათბიროს ბ. ბ. წევრნო! ომს შევხვდით ჩვენი პროგრამის განხორციელების დროს, რომელიც უნდა დამთავრებულიყო შავი ზღვისთვის 1915 წელს და ბალტიის ზღვისათვის 1916 და 1917 წლებში. ამის მიუხედავათ, ღვთის მადლით, ჩვენმა ფლოტმა შესძლო მტერს გამკლავებოდა და მედგრად იგერებს მტრის იერიშებს და ხანდახან თითონაც უტევს, ბალტიის ფლოტის შესახებ უნდა აღვნიშნო, რომ მას დაევალა სატახტო ქალაქის დაცვა. ჩვენმა მტერმა იგრძნო ჩვენი ძალა და ბალტიის ზღვაში გაჭრის ცდის დროს მტერმა რამდენიმე გემი დაკარგა. მტერი იძულებული გახდა თავი შეეფარებინა ნეიტრალურ წყლებში და იქ გაირიყა რამდენიმე გემი. უნდა დაუმატო ამას, რომ ჩვენთან მომქმედი ინგლისის წყალქვეშა ნავები დიდათ დაგვეხმარენ ბალტიის ზღვაში (ტაშის ცემა, ხმა: ვაშა!) სამწუხაროთ ჩვენც გვქონდა მსხვერპლი, მაგრამ ეს ძლიერ მცირე იყო, ჩვენ დავკარგეთ კრეისერი, ორი ნაღმოსანი და რამდენიმე დამხმარე გემი. დავკარგა ადმირალი ესენი მძიმე ავათმყოფობის შემდეგ. ჩვენი ფლოტის სახელით და სამინისტროს მხრით დიდს მადლობასა ვსწირავ სახ. სათათბიროს იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც მან გამოგვიცხადა ადმირალის დასაფლავების დროს. შავიზღვის ფლოტმაც შეასუსტა მტერი, თუმცა მისი ძალები არ უდრიდა მტრის ძალებს. თითონ მას თითქმის არაფერი დაკლებია და მტერი კი დიდათ დაზიანა. ის თანდათან იზრდებოდა და იმ ხანას ელის, როდესაც შესძლებს ჩვენი საუკუნო მიზნის განხორციელებას, (ხმები: ვაშა!) რაც შეეხება გემების აშენების საქმეს, შენდება ისეთი გემები, რომელნიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ, ჩვენი ქარხნების ტეხნიკური მხარე გავაძლიერეთ, რამდენათაც ეს შესაძლებელი იყო როგორც ფლოტის, ისე სახელმწიფოს დაცვის საჭიროებისათვის. ომის დაწყებისას გაფიცვები იყო და ეს გაფიცვები ხელს უშლიდენ პროგრამის განხორციელებას. ომის დაწყებისთანავე მუშათა პატრიოტული გრძნობამ ბოლო მოუღო ამ გაფიცვებს (ხმები; ვაშა!) ზომები მივიღეთ იმ გემების დამთავრებისათვის, რომელნიც შეიძლებოდა გვეხმარა ამავე ომის განმავლობაში. მუშები გასაოცარი ერთგულობით შეუდგენ საქმეს. (ხმები: ვაშა!) შედეგი ის იყო, რომ ბალტიის ფლოტს მიემატა რამდენიმე გემი, დრედნოტები, და წყალქვეშა ნავები. შავიზღვის ფლოტს მიემატა ყველა განზრახული გემები და წყალქვეშა ნავები და ბოლოს ერთი ჯავშნოსანიც, ყველა ეს ზომები დღესაც წინანდებური ენერგიით გრძელდება, ომის განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა, რომ აგვეშორებინა თავიდან გერმანიისაგან დამოკიდებულება, მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთის მრეწველობა შეძლებას მისცემს ჩვენს ფლოტს ომი განაგრძოს.—

აქვე უნდა აღვნიშნო ის სარგებლობა, რომელიც მოუტანა ჩვენს ფლოტს ჩვენმა სავაჭრო ფლოტმა. საზღვაო უწყებათა მოწმობით სავაჭრო ფლოტის კომანდამ თავისი ერთგულობით, გამოცდილებით დაიმსახურა დიდი პატივისცემა (ხმები ვაშა!). ახალგაზდა აფიცრების მომზადება ისე მოხდა, რომ მათ შეასწავლეს სროლა, დანარჩენი კი მათ ადვილათ შეითვისეს შემდეგ წყალში და სამხედრო ასპარეზზე. მე არ შემიძლია დაწვრილებით გაგაცნოთ ჩვენი ფლოტის მოქმედება 12 თვის განმავლობაში, ვერც დაგიხატავთ მომავალ პროგრამას, მაგრამ გთხოვთ ჩვენთან ერთათ დარწმუნებული იყოთ, რომ ყველა ჩვენგანი თქვენისა და საზოგადოებრივი ძალების დახმარებით თავის მოვალეობას შეასრულებს თავისი მამულისა და მეფის სასახელოთ (ტაშის ცემა.).

თავჯდომარე წინადადებას აძლევს სახ. სათათბიროს პატივის სცეს ფეხზე ადგომით ჩვენი ფლოტის გმირის ადმ. ესენის და ყველა დაკარგულის ხსოვნას. ყველანი სდგებიან.

(გაგრძელება იქნება)

## ჟურნალ გაზეთებიდან.

**ბუქარესტი.** იასსის უნივერსიტეტის პროფესორმა ექიმმა ბოგდანმა, რომელმაც ითხოვა საფრანგეთის ჯარში ჩარიცხვა, გენერალ პოსაგან წერილი მიიღო. ამ წერილში გენერალი ლაპარაკობს, რომ რუმინიის ნეიტრალიტეტი საფრანგეთში დიდს ეჭვებს იწვევს. და, ვიდრე რუმინია დარჩება დღევანდელ პოზიციაზე, მსგავსი თხოვნები მიღებული არ იქნება. წერილის კილომ რუმინიის საზოგადოებაზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

**ჰააგა.** ჰოლანდიის მეორე პალატამ მიიღო კანონ-პროექტი ლანდშტურმის შესადგენათ, რომ გააფართოვონ ეროვნული მოგერების ძალა.

**ბუქარესტი.** ბალკანეთის სოციალისტების კონფერენციაზე მიღებულ იყო რეზოლიუცია, რომელიც ავალებს სოციალისტიურ პარტიას, გასწიოს აგიტაცია ზავის სასარგებლოთ და ბალკანეთის ნეიტრალიტეტის დასაცავათ. რ. ე.

**ვარშავა.** ფელდმარშალი გინდენბურგის ოფიციალურ ორგანოში დაბეჭდილია მთელი რიგი დადგენილებისა ყველა სანოვაგის რეკვიზიციის მოსახდენათ. მცხოვრებთ არა აქვთ უფლება იყიდონ რამე უშუამავლოთ და ყოველ ადგილას გერმანიის მთავრობა ნიშნავს სათადარიგო სანოვაგეს.

### ბრიუსელის უხუცესთა მილოცვა მეფე ალბერტისადმი.

ეროვნული დღესასწაულის გამო უხუცესთა კოლეგიამ ბრიუსელებისამ მეფე ალბერტს შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა:

8 ივლის ეროვნულ დღესასწაულის დღეს ბრუსსელის მცხოვრებნი შეურყეველი რწმენით მიაპყრობენ თავიანთ აზრონებს მეფე—სამშობლოს სიმბოლოზე. ისინი იგონებენ მეფისაგან წარმოთქმულ სიტყვებს 22 ივლისს 1914 წ. ხალხის წარმომადგენელებთან: „ქვეყანა მომგერებელი სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით. ასეთი ქვეყანა არ დაიღუპება.“

**პარიზი.** 10 ივლისს რადიკალურმა პარტიამ ამოირჩია ბიურო კომბის თავმჯდომარეობით, რომელიც ითვლება კაიოს მოადგილეთ.

**ტოკიო.** იაპონიის ზავის ლიგამ ამერიკელ ლიგასთან ერთად დაადგინა მოაწყოს ცნობის შემკრები ბიურო იაპონიასა და ამერიკის ურთიერთ დასაახლოვებლათ.

**კოპენჰაგენი.** „ფორვეტს,“-ი იუწყება, რომ ყოფილი პრუსიელი მიწათ-მომქმედი მინისტრი პოდბიელსკი გამოაშკარავეს არა ერთხელ სინდისიან სპეკულიაციაში ჯარისათვის კარტოფილის დადგმის დროს.

**რომი.** აქაური ცნობის მიღებით გამოჩენილი დეპუტატი სოციალისტი ბისსოლატი, ალპიის მსროლელთა რაზმში მებრძოლი, ბარძაყში დაიჭრა.

### ჩვენი ორი როტის სიმკირე.

სტეფანკოვიცის მიდამოში საღამოს 8 საათზე შეუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლის ფრქვევით, გერმანელებმა გაარღვია ჩვენი ჯარის სადგომი, ამ დროს ჩვენი ერთი პოლკის ორმა როტამ, როცა ის მტრით გარშემორტყმული იყო იერიშზე გადვიდენ და ხიშტერით გაარღვიეს მტრის რგოლი.

**კოპენჰაგენი.** რომიდან იტყობინებიან, რომ პოლიტიკურსა და სამხედრო წრეში სრულიად გადაწყვეტილათ ითვლება, რომ ავსტრიელ ჯარის კაცთა ფორმით მონაწილეობას ღებულობენ ბავარიელი ჯარის კაცნი იტალიის ფრონტზე ბრძოლაში. ამისათვის უკანასკნელი რომის დეპეშები აღნიშნავენ, რომ დღევანდელი გამოურკვეველი პოლიტიკა იტალო-გერმანიისა მალე შეიცვლება და იტალია ომს გამოუცხადებს გერმანიას.

**პარიზი.** 4 აგვისტოს ომის წლის თავზე მოხდება სადღესასწაულო კრება საფრანგეთის პალატის დეპუტატებისა. კრებაზე სიტყვას წარმოსთქვამენ მინისტრთა საბჭოს თავ-მჯდომარე ვივიანი და დეპუტატების პალატის თავჯდომარე დეშანელი.

### იმპერატორი ვილჰელმი და გინდენბურგი.

ოფიციოზურ „ლოკალ ანცაიგერ“-ი აცხადებს, რომ პოზნანში მოხდა შეხვედრა იმპერატორ ვილჰელმისა და გინდენბურგისა, პრუსიის სასახლის წესთან ახლო მდგარი გაზეთი იუწყება, რომ ვილჰელმმა განსაკუთრებული პატივი სცა გინდებურგს. პოზნანის სადგურზე გინდენბურგს უცდიდა ობერ-გოფმარშალი ვილჰელმისა, რომელმაც კაიზერის ავტომობილით მიიყვანა იგი სასახლეში. გაზეთი აღნიშნავს, რომ იმპერატორის საუბარს გინდენბურგთან გადამწყვეტი ხასიათი უნდა ჰქონოდა აღმოსავლეთ ფრონტის ოპერაციების მიმდინარეობაზე.

„გერმანიის ხალხი ულრმესი კმაყოფილებით ტყობილობს, რომ იმპერატორ ვილჰელმს კლავ მიეცა შემთხვევა გინდენბურგის დაფასებისა. ამით გერმანიის ხალხი ხედავს იმპერატორის მადლობას აღმოსავლეთ პრუსიის განმათავისუფლებელისადმი რომლის ღვაწლსაც ისე ვერავინ დააფასებს, როგორც იმპერატორი“.

ბ. ვ.

## ახალი ამბავი.

**ქუთაისი.**

✦ როგორც სოფ. კურსებიდან გვატყობინებენ, იქ ამ დღეებში პოლიკარპე ნიშნიანიძე მიიტანს რამოდენიმე ვაგონ კავკავიდან გამოწერილ სიმინდს, ფუთი სიმინდი გაიყიდება 1 მან. და ორ შაურათ.

✦ საფიჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის უფასო წიგნ-საცავ საკითხველოს 65 მანეთის წიგნი შესწირა სამსონ ქორქოლაძის ქვრივმა კატომ, მისი შვილის, აწ განსვენებულის გიორგი ქორქოლაძისგან დატოვებული.

✦ ქუთაისის ბეითალი ატყობინებს ქალაქის გამგეობას, რომ ამ ქ-მათ ქალაქში გავრცელებულია ფრინველებისა და საქონლის ჭირი.

✦ ქუთაისის გუბერნატორმა უკვე გამოუგზავნა ქალაქის გამგეობას 2800 მ. ჯარების ბინის დასაქირავებლად.

✦ მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქის გამგეობამ ფუთ სიმინდზე ნიხრი დააწესა 1 მან. და 2 შაურათ და ქბილზე 1 მან. და 10 შაურ., ვაჭრები მაინც არ ემორჩილებიან და სიმინდის ფქვილს ზედმეტ ფასად ყიდიან.

✦ ქალაქის სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ ოქმი შეუდგინა და გასასინჯათ ქალაქის ლაბორატორიაში გაგზავნა გამომცხვარი საეჭვო პურები გელათისა და კათოლიკეთა ქუჩების მეპურეებს.

✦ კვირას, 27 ივლ., საფიჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის უფასოწიგნსაცავ სამკით. სასარგებლოთ სამრევლო სკოლის შენობაში წარმოდგენა გაიმართება ლიტერატურული განყოფილებით. წარმოდგენილი იქნება ცაგარლის „ქართველი დედა“. იმედია საზოგადოება არ დასტოვებს უყურადღებოთ ამ ახლად დაარსებულ საზოგადო საქმეს.

✦ სვირიდან გვატყობინებენ, რომ 14 ივნისს გიორგი ჯულელის მეთაურობით სოფლებმა შუამდგომლობა აღძრეს, რათა ამ სოფელში დაარსდეს ორ კლასიანი სასწავლებელი.

✦ საფიჩხიის კუთხის მცხოვრებლები სჩივიან, რომ ამ ბოლო ხანში ქურდ-ბაცაცები ძლიერ გამრავლდენ. საჭიროა ვისიც ჯერ არს მიაქციოს ყურადღება. ამ უბანში საჭიროა ერთი პოლიციელი მაინც იდგეს.

✦ ნ. ნიკოლაძის საქმე თბილისის სასამართლო პალატას გადასცეს ხელმეორედ გასარჩევად.

✦ 12 ივლისს კავკავიდან თბილისში მომავალი ავტომობილი გადაბრუნდა, მგზავრებ შორის მძიმეთ დაშავდა ცნობილი მუსიკოსი ილიკო აბაშიძე.

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლო სისხლის სამართლის საქმეების გარჩევას 13 ივლისს შესწყვეტს.

✦ როგორც ლეჩხუმიდან გვწერენ, წარსულ ნიაღვრებისაგან წალეკილ მიდამოებში დიდძალი სპილენძის და შაბის მადანი აღმოჩენილა.

ამ დღეებში იქ გაემგზავრენ კაპიტალისტები, რომ იჯარით აიღონ ეს მამულები.

✦ ოსეთის სამხედრო გზა უკვე შეაკეთეს და დილიჟანების მიმოსვლა დაიწყო.

✦ როგორც სოფელ მექვენიდან გვწერენ, აქ აზრათ აქვთ დაარსონ წიგნსაცავ საკითხველო არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე, შუამდგომლობა უკვე აღძრეს.

✦ გუშინ, ღამის სამ საათზე, სასტუმრო „ანგლიაში“ მოვიდენ გრიგოლ ბებეშკორი, გრიგოლ ბახტაძე და გაბრიელ ციციაშვილი, სასტუმრო „ანგლიის“ პატრონს ხნუბი აუტეხეს. ბახტაძემ ხანჯლით მძიმეთ დასჭრა ალექსანდრე ჩიქოვანი. პოლიციამ დროზე მოუსწრო და ბოროტ გამზრახველები დააპატიმრეს, ჩიქოვანი კი კერძო სავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ ღ. ჭიათურაში კრების გასამართავათ გაემგზავრება შავი ქვის საბჭოს მთელი შემადგენლობა. კრება ჭიათურაში რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა ყასბებს მწვანე ბაზარში: ვასილ მორჩაძეს ჩუმათ საქონლის დაკვლისათვის, კოწია წულუკიძეს ხორცის ნიხრ ზევით გაყიდვისათვის. ამავე ბაზარში ოქმი შეუდგინა ჩარჩ—მოვაჭრეებს სერგო და ტარასი ჩიტიეიშვილებს და ლევან ნებიერიძეს ბაზრის წესრიგის დარღვევისათვის.

✦ 25 ივლისს ქუთაისის საოლქო სასამართლო გაარჩევს შერიფ მემედ ოღლის და ბესარიონ კაკუბავას სისხლის სამართლის საქმეს. 28 ივლისს კი პეტრე სეხნიაშვილის, თედორე კაშიბავს და ანტონა უბირიას საქმეს.

### მოწერილი ამბავი.

**ღ. ხობი.** 5 ივლისს, ზუგდიდის მაზრას ეწვია ქუთაისის გუბერნატორი წყალდიდობისაგან გამოწვეულ ზარალის დასათვალიერებლად. გუბერნატორს ღ. ხობში რამდენიმე საზოგადოების წარმომადგენელნი დახვდნენ. შეკრებილი საზოგადოების დავალებით მღ. ნესტორ სანაიამ გუბერნატორს განუმარტა წყალდიდობისაგან მიყენებული უბედურება. გუბერნატორმა თვითონაც ნახა განადგურებული ქალები და ხალხს დაპირდა ყოველივე დახმარების აღმოჩენას. უბედურება იმდენად დიდია, რომ გუბერნატორმა „საშინელი უბედურება“ უწოდა. შემდეგ გუბერნატორი შეპირდა ხალხს ინჟინერის გამოგზავნას, რომელსაც დაევალება გამოიკვლიოს, თუ სად დასჭირდება ხობის წყალს დამბების გაკეთება. გუბერნატორს არ აღუნიშნავს თუ რა თანხით გაკეთდება ეს დამბები. აღნიშნა მხოლოდ, რომ უბედურების თავიდან ასაცილებლათ საჭიროა გაკეთდესო.

## ქართული გიმნაზიის გარშემო.

(დასასრული, იხ. „სამშ.“ № 134).

გადავიდეთ ახლა უფრო კერძო ხასიათის საკითხზე და შევეხოთ იმ ტეხნიკურ მიზეზებს, რომელნიც აფერხებენ სწავლის რიგიან ნიადაგზე დაყენებას. საზოგადოთ მიღებულია, რომ გიმნაზიურ კლასებში უნდა ასწავლიდეს უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებული. ეს არ არის მთავრობის მხოლოთ ქირი ან კაპრიზი. აქ ცოტა პედაგოგიური მოსაზრებაც არის. რასაკვირველია, შეიძლება უმაღ. სასწავლებელი არ ქონდეს მასწ. ვლებელს დამთავრებული, მაგრამ საუცხოვო მასწავლებელი იყოს. მაგრამ ასეთი იშვიათი მასწავლებლის გამოძებნა ძლიერ საძნელოა. პრინციპიალურათ კი შანსი ცოდნისა უმაღლეს სწავლა დამთავრებულს მეტი აქვს და ამის გამო მეტიც შეგვიძლია მასწ[illegible] დომაც ნაკლები შეიძლება. დავუშვათ, ავიღოთ ახლა ქართ. გიმნაზია. 33 მასწავლებელთა შორის 53 პროც. საშუალო ან დაბალი სწავლის პატრონნი არიან, (ჯამაგირის შესახებ კი მათ (53 პროც.) უმრავლესობას მოუხერხებია უმაღლესი ჯილდოს მიღება, მიუხედავათ კომიტეტის გადაწყვეტილებისა) პროცენტი მართლაც მოზრდილია და ეს ერთი მიზეზთაგანია ჩვენი მოწაფეების დაქვეითებისა. მეორეს მხრით ეს გარემოება იწვევს ერთნაირ ტეხნიკურ უხერხულობას. კანონის ძალით მერვე კლასში გამოცდების წარმოება მხოლოთ ცენზიანს შეუძლია. ამის გამო დაბალ კლასებში უცენზონი ასწავლიან, ზევით კი ცენზიანები და მათ აწყდებათ თავზე საქმის მთელი სიმძიმე. პასუხისმგებელნი მთავრობასთან, ინსპექციასთან, ფართო საზოგადოებასთან და მოწაფეებთან ისინი არიან და მოწაფეებს ხეირიანათ ვერც კი იცნობენ. საღი პედაგოგიური მოსაზრება ისეთია, რომ ვინც პირველ კლასში ასწავლის, მანვე უნდა „გაათავებინოს თავის მოწაფეს. მესამე მხრით, უთანხმოება იბადება თვით საგნის მასწავლებელთა შორის. დაბალი კლასის მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ ის კარგათ ასწავლის და მოწაფეს ზედა კლასებში ავიწყდება საგანი. ცენზიანი მასწავლებელი კი დაბალი კლასიდან ელის კარგათ მომზადებულ მოწაფეს და, მისი აზრით, ასეთს ვერ ღებულობს. აი სწორეთ ამ ნიადაგზე შესაძლებელია „პედაგოგიური ბოროტებაც“ კი მოხდეს და ამისათვის საჭიროა, ვინც საძირკველს ფ'კვნის, მანვე კედლები აშენოს.

მინდოდა შევხებოდი საგნების განაწილებას, მაგრამ ესეც პედ. საბჭოს მოვალეობას შეადგენს და მისი გადასაწყვეტია. ერთი კია: არ შეიძლება ერთსა და იმავე მასწავლებელს რამდენიმე თანამდებობა ქონდეს. აქ უნებურათ მაგონდება ცინცაძე-ეზიკოვის ინციდენტი. ვთქვათ, ინსპექციის გადაწყვეტილება ამ პირთა შესახებ სამართლიანი იყოს, მაგრამ ეს ხდება განსაზღვრული ფორმისა და წესის დაცვით. ერთი შენიშვნა ყოველ შემთხვევაში შეიძლება გაუკეთდეს ინსპექციის განმარტებას. თუ ერთი მასწავლებელი ორ სასწავლებელში მსახურობს და ამის გამო ის ერთი სასწავლებლიდან უნდა გავათავისუფლოთ (თუმცა ვერ გამიგია, რისთვის?), ეს არ უნდა იყოს მარტო ერთისა და ორი მასწავლებლისათვის კანონათ. ეს უნდა იყოს ყველასთვის სავალდებულო. მაშინ პრინციპი ცხადი და აშკარაა. როგორ მოგწონთ, მაგ., მასწავლებელს აქვს ნორმით 18 გაკვეთილი, ამავე დროს ის მრევლის მწყემსია და წარმოიდგინეთ კლასის დამრიგებლობასაც ასრულებს. შესძლებს განა ერთი კაცი ამდენს? ჩვენის ფიქრით, მრევლის სამსახურისთანა ძნელი არც ერთი სამსახური არ არის, ნამეტურ ისეთი მდიდარი და მრავალ რიცხოვანი მრევლისა, როგორიც გიმნაზიის მამებს ყავთ. და თუ ერთს არ შეუძლია ორგან სამსახური, არც მეორეს შეეძლება სამი თანამდებობის ასრულება. მაგრამ ამისთანა მარტო გიმნაზიის მამები არ არიან. ზოგი მასწავლებელი სამ თანამდებობას ასრულებს, გიმნაზიაში მასწავლებელი და კლასის დამრიგებელია და სხვაგანაც გვარიანი ულუფა აქვს. ამისთანა შემთხვევები დიდათ შემაფერხებელია და იმეორებთ, კანონი და მოსაზრება ყველასთვის ერთნაირი უნდა იყვეს და არა ერთისა და ორისთვის დაწერილი.

ახლა შევეხოთ ინსპექციასა და კორპორაციას შორის არსებულ დამოკიდებულებას. თუმცა, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ერთი ჯურის ჯგუფს მოუყრია გიმნაზიაში თავი, მაგრამ ერთსულოვნება არც მათში არსებობს. აქ არის „ღირსებულობის“ მეტ-ნაკლებობა. ესეც ხომ ერთი უდიდესი ნაკლთაგანია. კორპორაციაში უნდა სუფევდეს ერთსულოვნება. აზრის სხვა და სხვაობა უნდა იყოს, მაგრამ ეს არ უნდა მივიდეს დაწვრილმანებამდი. კორპორაცია სამ ნაწილათ არის გაყოფილი: ერთ ნაწილს გიმნაზიაში მეტსახელათ „გენერლებს“ ეძახიან. ესენი არიან ძველი, გამოცდილი მასწავლებელნი. უმათოთ არაფერი გაკეთდება, ესენი არია ინსპექციის მრჩეველნი, ასე ვსთქვათ „სენიორენ კონვენტი“. პედაგოგიური საბჭოს დადგენილება ხშირათ დამახვრეულა ხოლმე მათი მედგარი და ჩუმი იერიშებისაგან. დანარჩენი ორი კატეგორია ინსპექციის აზრით წარმოადგენს

„ღირსეულთ“ და „ნაკლებ ღირსეულთ“. პირველთ ინსპექცია თუმც ეკითხება ხოლმე, მაგრამ ხშირათ უხერხულ მდგომარეობაში აყენებს მათ და ზოგიერთი მათგანი პირდაპირ იძულებულია სხვაგან მოძებნოს ბინა. უკანასკნელნი კი (ნაკლებ ღირსეულნი) ყოველ უფლებას მოკლებულნი მასწავლებელნი არიან. ისინი უფრო დეკორაციას წარმოადგენენ, ვიდრე კორპორაციის წევრებს.

დასასრულ, ბევრი რამ შეიძლება ითქვას და დაიწეროს ქართ. გიმნაზიის შესახებ, მაგრამ ეს უხერხულათ და უფრო პედაგოგიურ საბჭოს მოვალეობათ მიგვაჩნია. აქ ჩამოთვლილი დეფექტები კი კარდინალურ ნაკლათ მიგვაჩნია და მათი გასწორება აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ის ღრმა და გულწრფელი სიყვარული, საქმის დიდი ინტერესი, რომლითაც გამსჭვალულია ჩვენი საზოგადოება ამ დაწესებულებისადმი, გვავალებს ამ დეფექტების შესახებ ხმა ამოვიღოთ, მას ობიექტიურათ შევეხოთ და ვისურვოთ, რომ ქართ. გიმნაზიას აშორებოდეს ყოველივე ნაკლი და პირნათლათ შეესრულებინოს ის დიადი ეროვნული საქმე, რომელიც მას მომავალი წლიდან ექნება დაკისრებული. ამით ის ჩვენს მოლოდინსაც და ხალხის იმედებსაც განახორციელებს. ჩვენი მომავალი თაობა კი უფრო მომწიფებული, უფრო მომზადებული გამოვა ცხოვრების სარბიელზე თუ ეს ნაკლი დროზე იქნება აშორებული. X.

## ჩემი პასუხი.

### ბ-ნ ი. ცინცაძის მიმართ.

ბ-მა ი. ცინცაძემ „სამშობლოს“ № 132 ში ჩემს შესახებ იმისთანა ბრალდებანი წამოაყენა, რომ იძულებული ვარ იმათ შესახებ პატივცემულ მკითხველებს განმარტება წარვუდგინო.

1. ბ-ნი ი. ცინცაძე გაკვირვებით კითხულობს: რა უფლება ჰქონდა ბ. ს. ხუნდაძეს, რომელიც აგერ წელიწად ნახევარია სამსახურში არ ითვლება, დაემოწმებია ბ-ნი ოცხელისათვის, რომ მე მოვალეობა არ ამისრულებიაო?

მართალია, ოფიციალურათ სამსახურიდან დათხოვნილი ვიყავ და თანამდებობას არ ვასრულებდი, მაგრამ სასწავლებელში მაინც დავდიოდი და გიმნაზიის საქმეებს თვალყურს ვადევნებდი და, რაკი ბ. ოცხელმა გაზეთში, გარეშე ჩემი ნებისა, მოწმეთ დამასახელა და საზოგადოებაც ჩემს ჩვენებას მოელოდა, მე ვსთქვი ის, რაც ვიცოდი, და თუ ბ. ოცხელმა დამასახელა, როგორც ინსპექციის ოფიციალური წევრი, ეს შეცდომა მე არ მეკუთნის.

2. ინსპექციის „პატივცემული წევრები გერასიმე ცაგერეიშვილი და ს. ხუნდაძე თავის სიცოცხლეში არ დასწრებიან ჩემს გაკვეთილებს, არ მოუსმენიათ არც გამოუკითხავთ მოწაფეებისათვის ცოდნა“ ო, ბძანებს ბ-ნი ი. ცინცაძე.

საკვირველია, ასე როგორ დაივიწყა ბ-მა ი. ცინცაძემ, რომ პირადათ მე, როცა ოფიციალური წევრი ვიყავ ინსპექციისა, არა ერთხელ ყოფილვარ მის გაკვეთილებზე და მთელი საათობით მომისმენია ისინი, არა ერთხელ მქონია განსახილველათ მისი რვეულები და იმათი სწორების შესახებ ცალკე მქონია მასთან ხანგრძლივი მსჯელობა და კამათი?!. ნუ თუ ამ გარემოების უარყოფა და ისიც ასე კატეგორიულათ („თავის სიცოცხლეში არ დასწრებია ჩემს გაკვეთილებსო“!) შესაძლებელია, როცა ამის დამოწმება ბევრს შეუძლია გიმნაზიაში?!

3. ბ. ი. ცინცაძე აღშფოთებულია იმის გამო, რომ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფეებმა ქართული ანბანაც არ იციანო, მაგრამ იმას კი არ განმარტავს, თუ უცოდინარობას რომელი ელემენტები იჩენენ და ეს უცოდინარობა მარტო ქართულ ენას შეეხება თუ სხვა საგნებსაც.

მე არ შემიძლია უარვყო ის გარემოება, რომ განსაკუთრებით უფროს კლასებში ხშირათ თავმოყრილია საკმაოთ დიდი კონტიგენტი მოსწავლეებისა, რომელნიც კლასის მიხედვით ძლიერ სუსტათ არიან მომზადებული საზოგადოთ ყველა საგანში, და არა მარტო ქართულ ენაში; მაგრამ ამ გარემოების მიზეზი ის კი არ არის, თითქო რომელიმე საგნის მასწავლებელი საკმაო შრომას არ ეწეოდეს, არამედ ისა, რომ მრავალი მოსწავლე, ვისაც წლის ბოლოს ენერგიული შუამდგომელი გამოუჩნდება, კლასიდან კლასში მოუმზადებელი გადადის.

აი უდიდესი დეფექტი, რომელიც საერთო წარმატებაზე ცუდათ მოქმედობს და გარეშე მაყურებელს იმისთანა შთაბეჭდილებას აძლევს, თითქო არავინ არაფერი იცოდეს.

ამ დეფექტის არსებობის ბრალი, რასაკვირველია, უპირველესათ, გიმნაზიის მართველს ედება, რომელიც საკმაო სიმტკიცეს ვერ იჩენს, რომ არავისი შუამდგომლობა ამ მხრით არ შეიწყნაროს და ამისთანა თხოვნები გასარჩევათაც კი არ შეიტანოს პედაგოგიურ საბჭოში; მაგრამ იშვიათი სიმტკიცეა საჭირო იმისათვის, რომ ებრძოლოთ ცალკე მოწაფეებს, რომელნიც რაც უნდა მოუმზადებელი იყონ, მაინც თავს მომზადებულათ სთვლიან; ცალკე მშობლებს, რომელთაც უჭირთ ორ-ორ წელს თითო კლასისათვის ხარჯების გაწევა, და განსაკუთრებით საზოგადოების გავლენიან პირებს, რომელნიც შუამდგომლობას კისრულობენ და ყოველნაირათ ცდილობენ დაგარწმუნონ, რომ შემდეგ კლასში ყმაწვილს რეპეტიტორი ეყოლება და ყოველ ნაკლს გაისწორებსო, და რაკი თხოვნას შეუსრულებენ, მერე აღარც რეპეტიტორი ახსოვთ და აღარც სხვა მზრუნველობა; ხშირათ ისეთია ყმაწვილის მდგომარეობა, რომ რეპეტიტორიც კი ვერას შველის.

ისიც კი უნდა ვსთქვა, რომ თვით მასწავლებელთა შორისაც არიან იმისთანები, რომელნიც მოუმზადებელ მოსწავლეთა და მათ მშობელთა „მდგომარეობაში შედიან“ და მათს უკანონო „წინსვლას“ ხელს უწყობენ, და ამისთანა მასწავლებელთ ეკუთნოდა თვით ბ-ნი ი. ცინცაძეც...

ამ დეფექტის საწინააღმდეგოთ მასწავლებელთა კორპორაციის ერთი ნაწილი დიდი ხანია იბრძვის, ეს ნაკლი თანდათან სუსტდება—და, იმედია, მალე მოისპობა კიდეც იგი, რადგან მის მავნებლობაში თითქმის ყველა დარწმუნდა.

ამ სახით, აღნიშნული გარემოების მიზეზით, მოსწავლეთა გამოცდის დროს მსმენელს უსიამოვნო სურათი ეხატება თვალწინ, მაგრამ დაკვირვებული მსმენელი (მით უფრო მასწავლებელი) ყოველთვის ადვილათ გაარჩევს რიგიან მოსწავლეებს, რომლებშიც აღბეჭდილია როგორც საგნების კარგი ცოდნა, ისე მათ მასწავლებელთა გულმოდგინება და შრომის მოყვარეობა, და, მაშასადამე, ბ-ნი ი. ცინცაძის განცხადება, რომ ყმაწვილებმა ანბანაც არ იციანო, მე უკიდურესათ გადაჭარბებულათ და უსამართლოთ მიმაჩნია.

4. „იქაური ქართული ენის მასწავლებლები სდევნიან ჰაე-თანდონებს, მაგალითად „კარგათ“-ის მაგიერ მოწაფემ „კარგად“ რომ დასწეროს, „ედინიცას“ სთხლიშამენ, „ქონიას“ მაგიერ (რაც ყოვლად უაზრობაა) „ჰქონია“ რომ დასწეროს, სიცოცხლეს გაუმწარებენო, და სხვ.

ესეც უსამართლო შენიშვნაა ბ—ნის ი. ცინცაძის მხრით.

მართალია, გიმნაზიაში შემოღებული გვაქვს ერთგვარი მართლწერა, სახელდობ ისა, რომელიც ჩემს გრამატიკაშია გათვალწინებული, მაგრამ არ არის მართალი, თითქო ჩვენ ვდევნიდეთ მოწაფეებს წინააღმდეგი მართლწერისათვის და ამისათვის „ვსთხლიშამდეთ ედინიცებს“, როგორც ბ-ნი იაკობი ბძანებს. ბ-ნ ი. ცინცაძეს, რომელიც მე-8 კლასის მოსწავლეთა ეგზამენებს ორჯერ დაესწრო, უნდა ახსოვდეს, როგორ ვასწორებთ მოსწავლეთა ნაწერას: ჩემი გრამატიკისაგან განსხვავებულ მართლწერას გასწორებით, მართალია, ვასწორებთ, მაგრამ ქვეშ ხაზს არ ვუსვამთ, შეცთომათ არა ვსთვლით და ნიშნების გამოყვანის დროს ანგარიშში არ ვიღებთ.

წლის განმავლობაში კი ვცდილობთ, რომ ყველამ ერთგვარი მართლწერა იხმაროს, რადგან არა ერთხელ გამოითქვა ქართული ენის კომისიებში ის აზრი, რომ სასურველია საერთოდ ყველგან სასწავლებლებში და მთელ პრესაში ერთგვარი გრამატიკული ფორმები იყოს შემოღებულიო, მაგრამ რაკი დღესდღეობით ეს მოუხერხებელია, ჩვენს გიმნაზიაში მაინც ნუ იქნება არეული მართლწერა, რადგან უხერხულია ერთსა და იმავე სასწავლებელში სხვადასხვა მასწავლებელი სხვადასხვა გრამატიკულ კანონებსა და ფორმებს ასწავლიდესო.

მსჯელობა იმაზე, თუ რომელი გრამატიკული ფორმები სჯობია, შორს წაგვიყვანს—და აქ უადგილოთაც მიმაჩნია, მაგრამ ამას კი ვიტყვი, რომ თვით ბ-ნი ი. ცინცაძე თავის საკუთარ გაზეთში უმეტეს ნაწილათ თანებს ხმარობს (იხ. თვით მის გაზეთში: ფართოთ, ნაკლებათ, უკაცრავათ, ერთბაშათ და სხვ.) და ჰაესაც ძალიან ხშირათ არ ხმარობს იქ, საცა მის მიერ ავტორიტეტებათ დასახელებული ჟორდანია-მგალობლიშვილები იმას ხმარობენ, და რაღა ჩვენგან თხოულობს ბ-ნი იაკობი, რომ ისე ვსწეროთ, როგორც მას სწადია?!

არა, ჩვენ იმიტომ კი არა ვსდევნით მოსწავლეებს, რატომ დონით სწერ, და არა თანით, რადგან ორივე თანასწორ უფლებიანი ფორმაა, არამედ იმას კი სასტიკათ მოვითხოვთ, რომ სრულიად უკანონო ფორმები არ იხმარონ. ამ მხრით ბევრი (თითქმის ყველა) ჩვენი მწერალ-პოეტი სცოდავს ხოლმე, და თვით ბ-ნი ი. ცინცაძის ნაწერებშიც ხშირია ამისთანა შემთხვევა. მის ბელეტრისტულ ნაწერებს რომ თავი დავანებოთ, ზევით აღნიშნულ საგაზეთო წერილშიც არის ამის რამდენიმე მაგალითი: 1) „თითს მოვკაკვამ„ (№ 131), 2) „ნახევარ წელიწადი“ (№ 132) 3) „ყველა რვეულები“ (№ 232) 4) „ედინიცას სთხლიშამენ“ (№ 132) 5) „ქართული საზოგადოება“ (№ 132).

ქართული ენის მცოდნე ყველა დამეთანხმება, რომ აღნიშნული ფორმების მაგიერ აუცილებლათ უნდა ვიხმაროთ: თითს **მოვკაკვავ, ნახევარი** წელიწადი ყველა **რვეული**, „ედინიცას“ **სთხლეშენ, ქართველი** საზოგადოება.

ბ-ნმა ია ეკალაძემ კარგათ იცის, როგორ ვაფასებ მას, როგორც ბელეტრისტს, მაგრამ ქართული ენის მასწავლებლობისათვის ბელეტრისტობა არ კმარა და ენის მასწავლებელს მტკიცეთ უნდა ქონდეს შეთვისებული ენის კანონიერება და შემუშავებული და მტკიცეთ მიღებული მისი ერთგვარი ფორმები, და არ იქცეოდეს ისე, როგორც, მაგ., ბ-ნის ი. ცინცაძის წერილშია არეული ფორმები: ხან სრულ ფორმებს ხმარობს ბრუნვებში, ხან მოკლეს, ხან თანებს, ხან დონებს და მრ. სხვ.

5. ბ-ნი ი. ცინცაძე ქართული ენის პროგრამას გვიწუნებს: ერთობ მცირეთ და ამიტომ სასაცილოთ მიაჩნია ეს პროგრამა (მაგ. მე-4 და 5 კლასებისა).

ბ-ნი ი. ცინცაძის თანადასწრებით თუ მეტჯერ არა, ორჯერ მაინც განვიხილეთ მთელი შკოლისა და გიმნზიის ქართული ენის პროგრამა-და ერთხელაც არ მახსოვს, რომ ბ-ნ ი. ცინცაძეს რაიმე ნაკლულევანება აღენიშნოს და ახალი რამ შემოეტანოს პროგრამაში: პირიქით, ჩვენ თვითონ ვავსებდით ამ პროგრამებს და ყოველ წელს რაღაც ახალ-ახალი, გამოცდილებაზე დამყარებული ცვლილება შეგვქონდა შიგ და არ ვიცი—რას გვისაყვედურებს ბ ნი იაკობი?!

რაც შეეხება მის მიერ აღნიშნული პროგრამების (IV და V კლასების) გავლის სიადვილეს, მე მგონია—მისი აზრი მართალი არ არის: მათს რიგიანათ გავლას, ჩემის აზრით, სრული წელიწადიც კი არ ეყოფა.—თუმცა ბ-ნი ი. ცინცაძე რაღაც „ახალ მეთოდზე“ მიგვითითებს, მაგრამ ეს „ახალი მეთოდი“ ჩვენთვის არ გაუმხელია, და თუმცა „ახალი მეთოდით“ დღიურის წერა შემოვიღეო, ბძანებს, მაგრამ ამნაირი „მეთოდი“ ჩვენს გიმნაზიაში დიდი ხანია სხვა მასწავლებლებსაც ქონდათ შემოღებული—და, მაშასადამე, ახალიც არ ყოფილა.

ამნაირი მეთოდი მხოლოდ მაშინ მოიტანს ნაყოფს, როცა ნაწერებს ასწორებენ და მოსწავლეებს მათ შეცთომებს უთვალწინებენ; ამ მხრით კი, როგორც ბ-ნი ი. ცინცაძეც აღიარებს თავის წერილში, საქმე სასურველათ არ სრულდებოდა, რადგან თურმე მაშინ უსწორებდა მოსწავლეს „დღიურ ნაშრომს“, როცა გაკვეთილს გამოკითხავდა და გაკვეთილის დროს რა უნდა მოასწროს მასწავლებელმა: ზეპირი გამოკითხოს, ახალი გაკვეთილი აუხსნას თუ ნაწერი ასწოროს, სულ 40 წამის განმავლობაში?!

შინ რომ ასწორებდეს მასწავლებელი ხშირათ ნაწერებს და მერე კლასში დროგამოშვებით თითოეულისაგან ამ ნასწორების გათვალწინებას მოითხოვდეს, გასწორებულის მიხედვით მოსწავლეთა საკუთარ დაკვირვებას,—მაშინ სხვა საქმე იქნება; მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ძლიერ უმძიმს საზოგადოთ ყველა მასწავლებელს, და ბ-ნი იაკობი სხვებზე ნაკლებად პოულობდა ამისათვის თავისუფალ დროს.

6) ბ-ნი ი. ცინცაძე თავის პირველ წერილში („სამშ.“ №131) **მასწავლებელთა უმრავლესობას** ბ. ოცხელის ლაქიებათ ასახელებდა; მეორე დღის ნუმერში (№132) ეს აზრი უარყო და **კორექტურულ შეცთომას** გადააბრალა (თუმცა, უნდა გავტყდეთ, როცა ამგვარი გარკვეული ფრაზა ორჯერ არის წერილში მოხსენებული, ძნელი დასაჯერებელია, რომ მას კორექტურული შეცთომის ხასიათი ქონდეს). ამ უკანასკნელ ნუმერში წინა დღის „კორექტურულ შეცთომას“ ბ-ნი ცინცაძე ასე ასწორებს: „მასწავლებელთა ძლიერი უმცირესობა ლაქიებათ ჰყავს გადაქცეული.—მე ვგულისხმობდი ინსპექციის წევრებს და იმ პირთ, რომელთაც კარგად იცნობს მთელი ჩვენი კორპორაცია და რომლებზედაც ამავე წერილშია ლაპარაკი.“

კარგათ ვერავინ გაიგებს, სახელდობ ვის გულისხმობს ბ-ნი ცინცაძე ბ. ოცხელის ლაქიებათ. თავის წერილში მას ბევრზე აქვს ლაპარაკი,—მაგალ. ბბ. სამსონ ყიფიანზე, სიმონ ეზიკაშვილზე—და არა ვგონებ, რომ მათაც ლაქიებათ სთვლიდეს, რადგან დღეს ისინი მის მეგობრებათ ითვლებიან; მაშ ვის შეეხება მისი სიტყვები—„რომლებზედაც ამავე წერილშია ლაპარაკიო“?

ინსპექციის წევრებიო, ბძანებს ბ-ნი ცინცაძე, მაგრამ შემდეგ პირადათ მე ინსპექციის წევრობიდან მრიცხავს—და აღარ ვიცი, მივიღო ეს მისი ბრალდება ჩემს თავზე, თუ არ მივიღო!.,

ამგვარი მისი გადაუწყვეტელი, ორჭოფული გამოთქმა მაჩვენებელია იმისა, რომ არავითარი საბუთი არ აქვს ჩემთვის ამგვარი ცილის დაწამებისათვის, მაგრამ მაინც კიდევ სწადია—ჩემი პიროვნება დაჩრდილოს—და ინსპექციის წევრებს ვგულისხმობო, ამბობს, და ვეღარც ამბობს, რადგან ინსპექციის წევრობიდან მრიცხავს.

მართლაც ვინ არ იცის მასწავლებელთა კორპორაციაში, რომ მე არავის ლაქიობას არ ვეწევი და ყოველთვის ვცდილობ საქმეს ვემსახურო და არა პირებს?!

ბ-მა ოცხელმაც იცის და ამხანაგებმაც იციან, რომ მე და ბ-ნი ოცხელი ხშირათ ერთმანეთს ვეწინააღმდეგებით რწმენით და მოსაზრებებით როგორც პედაგოგიურ ასპარეზზე, ისე პოლიტიკურსა და სამოქალაქო ასპარეზებზედაც, რომ საზოგადოთ სხვადასხვა რწმენისა და მიმართულების ვართ!..

ვისი აზრი და მიმართულებაა უფრო სწორი, ეგ სულ სხვა საკითხია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში შიგნით აზრების ბრძოლა გიმნაზიის მართვა-გამგეობის ხასიათის შესახებ დიდი ხანია არსებობს—და ვინ იტყვის, რომ ვისთვისმე ლაქიობა გამეწიოს?! ეგებ ბ-ნი ცინცაძე დანაშაულათ გვითვლის, რომ ეს აზრების ბრძოლა ქუჩაში და თუნდ პრესაში არ გადმოვიტანეთ, მაგრამ არა მგონია დიდი სამსახური გაუწიონ სასწავლებელს იმათ, რომელნიც ერთსა და იმავე პირს პრესაში დღეს ცამდი ამაღლებენ და ხვალ, ქვესკნელამდი ამხობენ... ჯერ საქმე იქამდი არ მისულა, რომ ჩვენი გიმნაზიის ბედიღბალი ქუჩამ ან თუნდ პრესამ გადასწყვიტოს: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“, ნათქვამია.—

7) ერთი ბრალდების შესახებ კიდევ მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა—და მოვათავო ეს უსიამოვნო საუბარი, რომელსაც აუცილებელი გარემოება მაიძულებს.

ბ-ნი ი. ცინცაძე თავის წერილში (№ 132) ამბობს: „განა არა ჰყავს ბ. ოცხელს ისეთი მასწავლებელი და წევრი ინსპექციისა, რომელიც აგერ წელიწადნახევარია კლასში არ მოსულა, სამსახურიდან დათხოვნილად ითვლება და ჯამაგირს კი უკლებლივ იღებსო“?

მართალია, პირადათ ჩემს შესახებ დიდ მწუხარებას არ გამოსთქვამდა ბ-ნი ია ეკალაძე იმ წერილში, რომელიც მან შარშან ჩვენს გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტს უძღვნა, და მთელი მისი იერემიასებური გოდება მიმართული იყო ინსპექციის იმ წევრის სადიდებლათ, რომელსაც დღეს იმგვარისავე იერემიასებური გოდებით ამცირებს,—მაგრამ ამას მაინც ვერ უარყოფს ბ-ნი იაკობი, რომ იმგვარი საქციელის ჩადენა, რომლის ძალითაც მე დავისაჯე, მოქალაქეს დანაშაულათ არ უნდა ჩაეთვალოს. ამიტომაც იყო, რომ გიმნაზიის წარმომადგენელნი ცდილობდენ—ისევ დავბრუნებოდი სამსახურს, აძრეს შუამდგომლობა და დღე-დღეზე მოელოდენ რომ დამაბრუნებდენ. ამ მოლოდინში მეც გიმნაზიას არ ვშორდებოდი, და რაკი ოფიციალური თანამდებობის ასრულება არ შემეძლო, [მოვალეობ]ებს ვასრულებდი და ვცდილობდი, რითაც შემეძლო, სასარგებლო ვყოფილიყავ სასწავლებლისათვის, რომ ჯამაგირი მუქთად არ მიმეღო. კეთილშობილი სულის მქონე ადამიანი ადვილათ მიხვდება, რა სულიერ ტანჯვასაც მე განვიცდიდი ამ ორჭოფული მდგომარეობის გამო, რომ მოსწავლეები კლასში მიელოდენ, და მე კი სულიერად ვიქანცებოდი, საქმესთან ახლოს მყოფი, და ნამდვილათ კი უფლებას მოკლებული, რომ მოსწავლეთა სურვილი შემესრულებია და მით ჩემი სულიერი წყურვილიც დამეკმაყოფილებია. რამდენი გაკვეთილის მაცემა მერჩია ამგვარ მდგომარეობას, მით უფრო, რომ გიმნაზიაში მაინც დავდიოდი და სულიერი მოუსვენრობის გამო გარეშე საქმეებს ვერაფერს ვაკეთებდი!..

ამისთანა პირობებში კომიტეტისაგან ნებადართულისა და დაკანონებული ჯამაგირის აღება ბ-ნ ცინცაძეს საყვედურებელ საგნათ გაუხდია! ბ-ნ ცინცაძეს ენანება, რომ ამისთანა პირობებში დათხოვნილი მასწავლებელი, რომელიც ოცდათერთმეტი წელიწადია გიმნაზიას—შეიძლება უხეიროთ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში გულწრფელად და გულმოდგინეთ ემსახურება, „ჯამაგირს უკლებლივ იღებს“.

რამდენათ სამართლიანია ამ გვარი ყვედრება, დე მკითხველებმა განსაჯონ!

**სილოვან ხუნდაძე.**

ქუთაისი 19 ივლისი.

## ჩემი პასუხიც

### ბ-ნ ს. ხუნდაძის მიმართ.

სიამოვნებით ვბეჭდავ ბ-ნ ს. ხუნდაძის პასუხს, ვინაიდან ეს პასუხი სავსებით ადასტურებს იმ დებულებას, რომელიც მე გამოვსთქვი ჩემს წერილში და იოტის ოდენათაც არ აქარწყლებს იმ ბრალდებას, რომელიც მე წამოვუყენე ქუთაისის ქართულ გიმნაზიის „ინსპექციას“.

მე ვამტკიცებ, რომ ბ-მა ოცხელმა დამითხოვა თავის ნებით შურისძიების გამო, ვინაიდან იმდენი ცოდვა არ მიმიძღოდა, რომ მოულოდნელათა და უკანონოთ დავეთხოვნე ბ-ნ ოცხელს და ასეთი მისი უღირსი საქციელისათვის კვერი დაეკრათ ბ-ნ ს. ხუნდაძეს და გ. ცაგარეიშვილს.

დიახ, ეს ბრალდება არ არის დარღვეული ბ-ნ სილოვანის წერილში. პირიქით ბ-ნი ს. ხუნდაძის წერილი ნათელ ჰყოფს, რომ ჩვენ გიმნაზიაში არსებობს თვითნებობა ერთის კაცისა, რომელსაც ადვილათ შეუძლია ამა თუ იმ მასწავლებლის დაჩაგვრა.

სწორეთ ეს არის მიზეზი იმ გულსაკლავ მოვლენისა, რომ ორმოცდა ორ მასწავლებელში ორი-სამი კაცი თუ ლაპარაკობს ხოლმე თამამად, თორემ, დანარჩენები სხედან და თავს აკანტურებენ...

ორმოცდა ორი მასწავლებელი—ქართველი მასწავლებელი—ეს ხოს მთელი პარლამენტია, სადაც უნდა მუშავდებოდეს ქართული საზოგადოებრივი აზრი, საიდანაც მთელ ქუთაისსა და მის გუბერნიას უნდა ეფინებოდეს მადლი ცოდნისა, სამართლიანობისა, წინმსვლელობისა, ქართველობისა.

ათას ორასი—ათას სამასი მოწაფე, მოზარდი ქართველობა! ეს ხომ დაუშრეტელი მასალაა საქართველოს უკეთესის მომავლის შესაქმნელად, მშრომელი ხალხისა და შრომის ასამაღლებლად.

მაგრამ საქმით კი რას ვხედავთ? კარგად ჩაუკვირდით ბ-ნ ს. ხუნდაძის წერილს და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ ამ დიდებულ დაწესებულებაში ყველაფერი მხოლოდ შინაურულად ყოფილა მოწყობილი და ყველაფერი მხოლოდ პირად კაპრიზების გარშემო ტრიალებს.

მე ჯერ არ მინდა შევეხო ჩვენი გიმნაზიის შინაურ ცხოვრებას არა იმიტომ, რომ, როგორც ბ-ნი სილოვანი ბრძანებს: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“-ო, არა!

სათქმელი ყოველთვის უნდა ითქვას თუნდაც ამ თქმას „გენერალური დეზინფექციაც“ მოჰყვეს.

იმ ხალხს, რომელსაც უნდა შეჰქმნას მომავალი, რომელსაც ისტორიული უფლება აქვს ამ მომავლისათვის, თავის ავისა და კარგის აწონ-დაწონვისა არავის წინაშე არ უნდა ეშინოდეს, თუნდა ამ აწონ-დაწონვის დროს დიდი ტკივილებიც გამოიაროს, დიდი მსხვერპლიც დასჭირდეს.

ვინაიდან უტანჯველად და უბრძოლველად ქვეყნად არა კეთდება რა. მე ჯერ არ ვეხები ქუთაისის გიმნაზიის შინაურ საქმეებს იმიტომაც, რომ იმედი მაქვს ჩემ-

ზე უფრო მცოდნე და გამოცდილი პირები ჩაიხედვენ ამ შინაურ საქმეებში. მეჯერ არაფერს ვამბობ გიმნაზიის შინაურ საქმეებზე იმის გამოც, რომ იმედი მაქვს თავად-აზნაურთა სასკოლო კომიტეტი თვით გადასჩხრეკავს ამ შინაურ საქმეებს (თუმცა სხდომებს კი აგვიანებს) და გასწმენდს კიდეც მას.

მე თუ შევეხე ზოგიერთ მხარეს გიმნაზიის ცხოვრებისას ეს იმიტომ, რომ გადასაწყვეტათ დამეყენებინა პრინციპიალური საკითხი: აქვს თუ არა ნება ინსპექციას თავის გუნებისამებრ მოექცეს მასწავლებელს, თუნდაც იგი მასწავლებელი ძალიან გლახა მასწავლებელიც იყოს და აქვს თუ არა ნება ინსპექციას ერთსა და იმავე პირობებში მეორე მასწავლებლებს ერთს თავზე ხელი გადაუსვას და მეორეს კი პანღური უჭიროს?

მე მგონია, რომ ინსპექციას ამის ნება არა აქვს და ამიტომაც ვთხოულობ კომიტეტისაგანაც და საზოგადოებისაგანაც ჩემის უფლების დაცვას...

დიახ, ინსპექციას, თუნდა მისი წევრები დიდათ დამსახურებულნიც იყვნენ, უფლება არა აქვს ნაფოტივით ისროლოს ხოლმე მასწავლებლები. ასეთი უფლება კი მიუთვისებია ქართულ გიმნაზიის ინსპექციას და სწორეთ ამ უზურპატორობის ბრალია, რომ მასწავლებელთა კორპორაცია საზოგადოთ და თითოეული მასწავლებელი კერძოთ, გარდა ზოგიერთ ჩიჩიკოვებისა და ენატანიებისა--დაშინებულნი არიან და იმის ნაცვლად, რომ მათ შორის ხდებოდეს ამხანაგური გაცვლა-გამოცვლა აზრებისა, ერთმანეთს ერიდებიან და ეშინიათ ზედმეტი არა წამოსცდეთ რა, რადგანაც ყველაფერი ეს უმავთულო ტელეგრაფით ,,ინსპექციას გადაეცემა... ინსპექცია კი ,,უფლება დაუჩემებია თავის ნებით უპანღუროს, ვინც არ მოსწონს"...

მოგეხსენებათ, რომ ყველგან და ყოველთვის უმრავლესობა თავისთავს უფთხილდება და მეტათ თავზე ხელ-აღებული უნდა იყოს ის ადამიანი, ვინც არსებულ პირობებში გაუმკლავდება ,,ძლიერთა ამ ქვეყნისათა".

ჩვენი მასწავლებლებიც ჩვეულებრივი ხალხია და უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, ხშირათ სდუმან იქ, სადაც გასაჩუმებელი არ არის. სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ კორპორაცია, იმის მაგივრათ რომ აღშფოთებული იყო ბ-ნ ოცხელის საქციელით და ჩემთვის მხარი დაეჭირა (არა იმიტომ რომ თუნდაც მე ამის ღირსი ვიყო, არამედ იმიტომ, რომ ხვალ შეიძლება ჩემი დღე თითოეულ მათგანს დაადგეს) დღეს ყველა ჩემი წინააღმდეგია და თავხედობათ მითვლიან ინსპექციის მხილებას ..

იყვნენ თავისთვის ღირსეულნი თუ უღირსნი, იღებდენ ჯამაგირებს და აშენებდენ სახლებს, ახლა კი—თუ ჩვენ გიმნაზიაში ,,ჩისტკა" მოხდა, ვინ იცის, ვის რა მოელის და ამის მიზეზი კი სამწუხაროდ მე გავხდი. აბა, რაში დამიჭერენ მხარს!.. მე თუ ,,გიჟი" ვარ, ისინი ჭკვიანები არიან და ჭკვიანს კი გიჟთან აბა რა საქმე აქვს!..

ასეა თუ ისე, ჯოხი ჩემზე გადატყდა და „ნაცემ" კაცს კი, მოგეხსენებათ, ყველა ერიდება.

მიუხედავათ ამისა, მე აზრათ არა მქონია ლაქიები დამეძახნა მთელის კორპორაციისათვის, რაც უკვე გულწრფელად აღვიარე და მიკვირს, რომ ბ-ნ ხუნდაძეს ეჭვი შემოაქვს ჩემს გულწრფელობაში...

მე ვიცი, ბატონო სილოვან, რომ თქვენ დიდი და თავგამოდებული დამცველი ხართ ქართველობისა და თქვენის თავისა, როცა საქმე თქვენ პირადობას შეეხება, მაგრამ თუ არ გამიჯავრდებით უნდა მოგახსენოთ: არ მომეწონა თქვენი მოწმობა—მით უმეტეს, რომ მე ვიცოდი: ბ-მა ოცხელმა თქვენ მოწმად დაგასახელათ „გარეშე თქვენის ნებისა, (რასაც თქვენვე აღიარებთ დღევანდელ თქვენ პასუხში) და გაკვირვებულიც ვიყავ, რომ თქვენ საჯაროთ პროტესტი კი არ გამოუცხადეთ, არამედ დაუმოწმეთ.

თქვენი ასეთი მოწმობა კი მე არ დამიმსახურებია. მართალია თქვენ ამბობთ, რომ ბევრჯელ დასწრებიხართ ჩემ გაკვეთილებს და ალბათ მაშინ შეგიდგენიათ აზრი ჩემ „უვარგისობაზე", მაგრამ მე კვლავ უნდა მოგახსენოთ, რომ მე არ მახსოვს—როდის იყავით ჩემ გაკვეთილებზე! თუ ოდესმე ბრძანდებოდით, ეს ალბათ აღნიშნული აქნება საკლასო დავთარში და კარგს ინებებთ, თუ მიჩვენებთ. ერთი შემთხვევა კი მომაგონდა. სულ ერთი თუ ორი თვის მოსული ვიყავ, როცა თქვენ ჩემი გასწორებული რვეულები გადაგვათვალიერებინათ და თქვენის მართლ-წერის მიხედვით ჩემი შესწორებული თქვენებურათ გადაგვასწორებინათ. თქვენ იცით რომ მე თქვენ მართლ-წერას არ ვიზიარებ და ამის შესახებ მცირე კამათიც გვქონდა. ეს არის და ეს! ამის შემდეგ მე თქვენ აღარ შეგხვედრივართ...

მე არ ვამტკიცებ, რომ უნაკლული ვარ მეთქი—ამის მტკიცებას მარტო სულელი თუ დაიწყებს, მაგრამ გამოცდილ მასწავლებელთა დარიგების დახმარება კი შემეძლო და მაშასადამე შემეძლო შემდეგში გავსწორებულვიყავ... ასეც ვაპირებდი, ვაპირებდი ქართული ენის პროგრამის გაკრიტიკებასაც, მაგრამ რომ აღარ დამაცადეთ? ხოლო თუ უბრალო ცამათში დროს არა ვკარგავდი, თქვენთან ერთად პროგრამების გადათვალიერების დროს, ამას მხოლოდ კეთილ-გონიერება მოითხოვდა, ვინაიდან ჩემ შენიშვნებს მხოლოდ კინკლაობა მოჰყვებოდა და სხვა არაფერი.

რაც შეეხება ჩემ ქართულს, ან ჩემ მართლ-წერას, ყოველი კორექტურული შეცდომა ყოველ დღიურ გაზეთში ცოდვათ რომ ჩამითვალოთ, რასაკვირველია თქვენ მართალი იქნებით, მაგრამ განა საკადრისია მწერლის ენისა და ცოდნის დაფასება კორექტურულის შეცდომით?

რაც შეეხება თქვენ ბრძანებას: „ქართული ენის მასწავლებლობისათვის მარტო ბელეტრისტობა არა კმარა და ენის მასწავლებელს მტკიცეთ უნდა (3) ქონდეს შეთვისებული ენის კანონიერებაო", უნდა მოგახსენოთ რომ ამ კანონიერებისათვის მე არასოდეს არ გადამიხვევია და თუ თქმენ ჩემი „კანონიერება" არ მოგწონთ, ახლა მე მკითხეთ მე კი მომწონს თქვენი „კანონიერება"?...

მაგრამ ეს საკამათო საგანია და უმჯობესი იყო სიტყვა არ ჩამოგეგდოთ.

ვსთქვათ არ მოგწონდით, რისთვის მატყუებდა ბ-ნი ოცხელი? რათ მომიჭრა ჯამაგირიდან 700—800 მანეთი? რატომ არ ჩამაყენა ისეთ პირობებში, რომ შრომა უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო.

თქვენ უბან-უბან დაეძებთ ცენზიან მასწავლებელს და მე კი იქა გყავდით და გამაგდეთ კი?

არა, აქ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოს და ეს ამბავი მე მგონია, მხოლოდ შურის ძიებაა, ისეთ ნიადაგზე, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს რა სასწავლებელთან და მასწავლებლობასთან.

აი, ამას ვჩივი და მე მგონი ბატონო სილოვან, რომ სიმართლე არ დაიცავით და სიბრუნდეს კვერი დაუკარით.

ბ-ნ ოცხელს უბრძანებია მე თუ ი. ცინცაძე სასწავლებლიდან დავითხოვე, მინდოდა რედაქციაში მომეწყო მისი ნითიერი მდგომარეობაო. (!)

აწი როგორ და რანაირათ მოვეწყობი ეს ჩემი პირადი საქმეა, მაგრამ საზოგადო სარბიელიდან რომ მიპანღურეთ, ამის ანგარიშს კი ყოველთვის მოვითხოვ...

ამით მინდოდა გამეთავებინა ჩემი წერილი, მაგრამ არ შემიძლია უყურადღებოთ დავსტოვო ორი თქვენი შენიშვნა.

1) თქვენ ბრძანებთ: ერთ დროს ბ-ნი ოცხელი აქო და ახლა კი ამცირებსო.

გიპასუხებთ. როცა ბ-ნი ოცხელი მაქე, ეს განგებ არ ჩამიდენია. ახალი კაცი ვიყავ, ირგვლივ კარგის მეტი არა მესმოდა-რა, ჩვენ გიმნაზიას კი შეურაცხყოფა მოელოდა და მე დავიფარე იგი—რამდენათაც კი შემეძლო რასაკვირველია. ხოლო ახლა თუ ვეკამათები ბ-ნ ოცხელს კვლავ მსურს დავიცვა ჩვენი გიმნაზიის ღირსებ და აღვადგინო კომიტეტისა და კორპორაციის უფლებანი.

მერწმუნეთ მე პირადი ინტერესები არ მალაპარაკებს. დიდს არას მაძლევდით გიმნაზიიდან, რომ ვხარბობდე. და არც ბუნებითა ვარ ხარბი კაცი.

2) მე არ დამისახელებიხართ, რომ თქვენ ბრძანდებით ის პირი, რომელიც წელიწად—ნახევარი კლასში არ დადიოდა და ჯამაგირს, და კარგა დიდ ჯამაგირს კი, იღებდა.

თქვენი განმარტების წინააღმდეგი არა მაქვს რა და არცა მშურს თუ კი გიმნაზიის მზრუნველი კომიტეტი დამსახურებულ მასწავლებელს დახმარებას გაუწევს და თუ ეს გავიხსენე, გავიხსენე იმიტომ რომ იმ დროს როცა მე „მოვალეობის აუსრულებლობას" მიკიჟინებდით, ინსპექცია და მათ შორის თქვენც მთელი წლობით ქართულ გაკვეთილებს აცდენდით.

მე ავათმყოფობის გამო გავაცდინე გაკვეთილები (თქვენივე წერილიდან სჩანს, რომ მე როგორც მასწავლებელს. სხვაზე მეტი დეფექტები არა მქონია, თუმცა შემეძლო თქვენგან მოწერილი დეფექტებიც უარ მეყო) ეს ბ-ნმა ოცხელმა საბუთათ გამოიყენა, ჩემი „მოვალეობის აუსრულებლობა" თქვენ დაგამოწმებინათ და თქვენც იკისრეთ ასეთი მოწმობა, იმ დროს როცა „თუმცა ძალიან სწუხდით უმოქმედობის გამო", მაგრამ 4000—5000 მანათს კი იღებდით...

ბ-ნო სილოვან, მთელი საქართველოში თქვენ ცნობილი ხართ როგორც დიდი პატრიოტი და ქართული ენის დარაჯ—დამცველი.

და რათ მიეცით ნება ინსპექციას ქართულ გაკვეთილების ასე მიფუჩეჩებისა?...

ჩემის აზრით, ქართული ენის წინაშე ინსპექცია უფრო დიდათ დამნაშავეა და მე კი დამითხოვეთ.

ეს არის განა სამართალი და ზრუნვა ქვეყნისათვის?

აი, რას ვკითხულობ, თორემ კერძოთ ჩემი პიროვნება, მაინც და მაინც, ვისთვის რა საყურადღებოა.

**ი. ცინცაძე.**

## პასუხი გ. პალესტინელს.

(დასასრული იხ. „სამშ. № 134).

აი ჩემი პროგრამა: 1) დაარსდეს რაბინების წრე, რომელიც მთავრობის ნებართვით, შეიკრიბება ქ. ქუთაისში შემდეგი საგნების განსახილველათ: რადგანაც ბევრი რაბინი ეხება იმისთანა საგნებს როგორიც გათვისება ქალისა, დაწუნება ან მოწონება დამკვლელებისა ან მძარცვავებისა და ან ამგვარი სხვებისა და მას არ აქვს საკმაო სწავლა და დიპლომი (სემიხა) ამიტომ კრება ირჩევს სამ რაბინს დიპლომიანს, რომელთაც ეძლევათ ნება ამ საკითხების გადაწყვეტისა. ყველა რაბინი ვალდებული ხდება, როცა მათ ქალაქში მოხდება ამ საგნებზე საკითხი, მოახსენოს კომისიას და იხელმძღვანელოს მათი გადაწყვეტილებით. ყველა რაბინი ვალდებულია გახსნას თავის ქალაქში დასაწყისი ებრაული კლასი (ტალმუდტორ) და კრების მიერ შედგენილი პროგრამით ისწავლონ რუსულიც და ქართულიც. 2) რაბინების კრება ვალდებულია შექმნას ცენტრალური (იეშიბა) ამ ყმაწვილებისთვის, რომელნიც დაასრულებენ თავის ქვეყნის ტალმუდტორას. მათ უნდა შეეძლოსთ გადასვლა იმ იეშიბაში და განაგრძონ ფართოდ შესწავლა ტალმუდისა და ფოსკიმისა. 3) იეშიბას ადგილი იქნება ქუთაისი ან იქ, სადაც აირჩევს კრება. 4) რადგანაც ჩვენი ყმაწვილები დაიარებიან გიმნაზიაში, რუსეთის წეს-წყობილების მიხედვით ისინი არ თავისუფლდებიან შაბათ-უქმობით მეცადინობისაგან, რომლითაც გმობენ ჩვენს სარწმუნოებას, ამიტომ საჭიროა თვით იეშიბაში მოეწყოს რვა-კლასიანი კურსი გიმნაზიისა სრული უფლებებით საიდანაც გათავების შემდეგ შეეძლებათ უნივერსიტეტში შესვლა. დაარსდეს კერძო გიმნაზია როგორიც არის ქ.ქ. ლიდაში, ვილნოში, მინსკსა და სხვაგან, თანახმათ ჩვენი სარწმუნოებისა. 5) რადგანაც პროვინციის ებრაელები სოფლათ ცხოვრობენ და ეს კი არ უქადის მათ მოგებას, ამიტომ საჭიროა შემცირდეს სოფლებში სიარული და გამოცვილდეს ხელოვნობა, რისთვისაც ქ. ქუთაისში უნდა დაარსდეს სახელოსნო სასწავლებელი იმ ბავშებისთვის, რომელნიც ვერ ისწავლიან რომელიმე მიზეზის გამო ან იეშიბაში ან გიმნაზიაში. მათ უნდა ისწავლონ ხელობა და შეამსუბუქონ ცხოვრების უღელი ღარიბი ხალხისა.

ამის განსახორციელებლათ საჭიროა დაარსდეს ფონდი. მთავარი ბინა უნდა იყოს ქუთაისში, თუ საჭირო იქნებოდა პეტროგრადის „Общество распространенія культуры среди евреевъ" დიდი სიამოვნებით დაგვეხმარებოდა. კიდეც შემპირდენ, ჩემის პეტროგრადში ყოფნის დროს და იქ უნდა მოიყაროს თავი ყველა წევრის ფულმა და კერძო შემოწირულებამაც. ანგარიშით ყველა ეს განხორციელდებოდა რომ ჩვენ მოწადინება გვექნება, მით უფრო ეს მოსახერხებელია, რომ ჩვენი ებრაელობა ყოველთვის იღებს თავის წვლილს სხვა და სხვა საქველმოქმედო საქმისთვის და ნუ თუ თავის შვილებისთვის არ გაიღებენ ფულს?! ამით ჩვენ უშველიდით თავს მოსალოდნელი ასიმილაციიდან.

აქიდან აშკარაა, რომ აქ ჩამოთვლილი მუხლები პროგრამისა სრულებით არ არღვევენ ჩვენს სარწმუნოებას. დღეს კი ჩვენი შვილები სასწავლებლებში ეცნობიან სხვის ლიტერატურას, ისტორიას, მოღვაწე პირებს, მწერლებს და თავის საკუთარი ერის ისტორიისა, მწერლებისა, მოღვაწე პირებისა და სხვ. არა იციან რა. ამით მე, რასაკვირველია, იმის თქმა კი არ მინდა, ვითომც წინააღმდეგი ვიყო მათი შესწავლისა, არა, მაგრამ სხვა ერის ისტორიასთან ჩვენი შვილები თავის ერის ისტორიასაც უნდა სწავლობდენ. ამ ნაირათ ჩვენი უვიცობით, შეუერთებლობით, ჩვენს მომავალ თაობას, ჩვენს იმედებს კერძო ინტერესებით ვღუპავთ. თქვენ კი ბატონო, პალესტინელო, დიპლომიან ინტელიგენტებზე მითითებთ: „არაფერს აკეთებენო". რა უნდა გააკეთონ მათ, რა იციან თუ რა სჭირია ჩვენს ერს, ისინი სრულიად ვერ ხვდებიან მის ჭირვარამს. მათ დედები არ ყოლიათ შეგნებულები, რომ ბავშობიდანვე შთაენერგათ მათს გულში ჩვენი ერის სიყვარული დარწმუნდით, არც ერთ დედას არ დაუმღერია ჩვენი პოეტის ბიალიკის აკვნის სიმღერა და მისი თქმის დროს შვილის ლოყები ცრემლით არ დაუღპია. წამოზრდილა და მას არ მიუღია სრულიად ჩვენი კულტურული სული და ისე წასულა გიმნაზიაში, უცვნია სხვა ერების დიდი პირები და არა თვისი ერისა. აბა, რას სთხოვ ამისთანა ინტელიგენტს. თუ ბრძანებთ ჩვენი ერის ამბავს სხვა ადგილებიდან ინტელიგენტები და ახალგაზდები ატრიალებენ ჩვენი იმედის დროშას, ესენი ისე არიან აღზრდილნი, როგორც მე ზევით აღვნიშნე და ვიდრე ასე არ მოხდება ჩვენშიდაც ნურაფერს ველით ჩვენ ამნაირი სტუდენტებისაგან, ასეთ დიპლომიანებისაგან. სამწუხაროთ, უფრო დაგვშორდებიან.

მთელი მათი ბრალი დაედება იმ პირს, რომელიც ხელს გვიშლიდა და გვიშლის ზემო აღნიშნულ პროგრამების განხორციელებაში და შეუგნებლათ ხელს უწყობს ჩვენი რწმუნების შერყევას, ოხჰ, ვინ აუხელს თვალებს ჩვენ საბრალო ძმებს დაანახოს მისი ნაკლი, დაანახოს მისი საჭიროება, შეაგნებინოს მისი მომავალი და დააყენოს იგი მაშველ გზაზე, გული კვდება, თვალები ცრემლებით ივსება, როდესაც ვხედავ ზოგიერთ სოფელში ჩვენი ძმების ნივთიერათა და სულიერათ დაცემას. არა თუ იგი ილუპებენ, პირიქით, სწყრებიან რატომ [illegible] ძილი, კმარა კერძოობა, კმარა შეუგნებლობა, კმარა გაუგებრობა ერთგული ა და დამღუპველისა.

მოგმართავთ, რაბინებო, თუ გიყვართ თქვენი მამები, თუ გიყვართ თქვენი სარწმუნოება, დაანებეთ თავი შურსა და სიძულვილს, გაუწოდეთ ხელი ერთმანეთს, მოიყარეთ თავი მთავრობის ნებართვით და გაიხილეთ თქვენი ერისა და საბრალო საქართველოს ებრაელების საჭიროება; შეუდგეთ მათ აღორძინებას, მათ სულიერათ შველას, ნუ დაკარგავთ მომავალ მოზარდთა ნიჭს და ნუ დაიდებთ მათ ბრალს, დაინახოს ყველამ, რომ თქვენც ეკუთვნით იმ დიდ რაბინებს, რომელნიც დღეს დაუღალავათ შრომობენ ჩვენი ერის საშველათ.

უმჯობესია, შევსწიროთ ჩვენი პირადობა ჩვენს ერს და არა ჩვენი ერი შევსწიროთ ჩვენ პირადობას. გამოსთქვით თქვენი სურვილი ამ პატივცემული გაზეთით თავის მოსაყრელათ და მოსალაპარაკებლათ, მომავალ ელულის თვეში ქ. ქუთაისში მოვიყაროთ თავი და ვისაუბროთ ჩვენი ერის საჭიროებაზედ. მოგმართავთ, ჩვენო ახალგაზდებო, ჩვენო მამულიშვილნო, იმედნო, არა კმარა მარტო მოდის შლიაპის დახურვა „მოდნი" კ სტუმებით სიარული და ხელში ხონტიკის დაჭერა, ეს კი არ არის მარტო თქვენი ვალი, თქვენი ვალია ის, რომ ატაროთ ჩვენი ერის დროშა მაირახი და წინ გაგვიძღვეთ, როგორც ამას სჩადიან თქვენი ძმები სხვა ქვეყნებში. ხელი შევუწყოთ განვახორციელოთ ზემო მოყვანილი პროგრამა და სხვა ჩვენი საჭიროების საგნები. აბა, ძმებო შეადგინეთ ჯგუფები, გამოაღვიძეთ ახალგაზდობა, ამოიღეთ ხმა, ააფეთქეთ თქვენი გული, აამუშავეთ თქვენი ძარღვები ჩვენი ერისთვისა და მით დაამტკიცეთ, რომ თქვენცა ხართ შვილები დიდი მოხუცი ისრაელისა.

**დავით ბააზოვი.**

რედ.-გამომც. **ი. თ. ცინცაძე**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
საპნის გასაკეთებელი „სოდა"
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

თ. მთავრიშვილის და ამხ.
წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი
ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები,
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.
თვ.

სადგურ ხრესილში („სერნია ვოდში") ტყიბულის რკინის გზ. შტოზე.
სამკურნალო აბანო
პ. ვ. ობოლაძის.
ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ 1 მაისიდან გაიხსნა სეზონი. ეს წყალი როგორც გამოკვლეულია, კურნავს მრავალ სხვა და სხვა ავათმყოფობისაგან და უმეტესათ კიქარების (რევმატიზმის), თავის, კუჭის ტკივილისაგან, ნერვების სისუსტისაგან, ჩაყოლილი ციებისაგან (მალარიისაგან) და აგრეთვე ძალ ღონეს მატებს სუსტ ადამიანებს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხსენებული აბანო არის სადგურიდან დაშორებული 100 საჟენით. იქვეა სუფთა ბინები. ხელმისაწვდომ ფასებში. აბანო მუდმივ მუშაობს. სანოვაგეც ყველაფერი იშოვება. მატარებელი გადის დილა და შვადღეზე. თ.

სწრაფმბეჭდავი სტამბა ა. კოხრეძისა—ქუთაისში